ცდებს შორის შუალედი იყო 8—10 წუთი. ხანმოკლე მესხიერების ზღვრად მივიჩნევდით გადაადების იმ დროს, რომელზედაც ცხოველი იძლეოდა 75% სწორ პასუხს დაყენებული ცდების საერთო რიცხვიდან.

ცდები ჩატარებული იყო იმავე თავისუფალი მოძრაობის მეთოდით და იმავე პირობების დაცვით, როგორც ნორმალურ კნუტებზე. საჭმლის ადგილმდებარეობის აღქმიდან გარკვეული დროის დაყოფების შემდეგ ვათავისუფლებდით და



ვაკვირდებოდით, მიაგნებდა თუ არა საკვების ადგილს, რომელიც გალიცანის საკვირდებელი იყო ზოგჯერ ერთი, და ზოგჯერ ორი მეტრით (7).

გადავადებული რეაქტიების განხორციელებისას ოპერირებული კნუტები უფრო მეტად იჩენდნენ მოუსვენრობას, ვიდრე ნორმალური, და, ცხადია, ისინი ამოცანებს წყვეტდნენ ობიექტისადმი წინასწარ გარკვეული პოზის მიღების გარეშე.

ერთი და იმავე ასაკის ოპერირებულ კნუტებზე ჩატარებული ცდების შედეგი ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტაზე ასეთია: ახლად ოპერირებული 2 თვის კნუტები № 1 ამოცანას უმეტეს შემთხვევაში წყვეტენ ახლო (1 მ) მანძილზე 3 წუთში და შორ მანძილზე 2 წუთში. № 2 ამოცანას — 2,5 წუთში ახლო და 1,5 წუთში — შორ მანძილზე; № 4 ამოცანას — 2,5 წუთში ახლო და 2 წუთში — შორ მანძილზე; ამ ამოცანებს წყვეტდნენ თითქმის ისე, როგორც ოპერაციამდე. სამი თვის ასაკში № 1 ამოცანას წყვეტენ ახლო მანძილზე 3—4 წუთში და შორ მანძილზე — 3 წუთში; № 3 ამოცანას ახლო მანძილზე 40 წამში და შორ მანძილზე — 20 წამში; ნორმალური 3 თვის კნუტები კი № 1 ამოცანას წყვეტენ ახლო მანძილზე 6 წუთში და შორ მანძილზე — 5 წუთში.

ამრიგად, ოპერაციიდან თითქმის 1 თვის გავლის შემდეგ საგრძობლად შემცირდა კნუტების დამახსოვრების ხანგრძლივობა. ხუთნახევარი თვის ნორმალური კნუტის დამახსოვრების დრო № 1 ამოცანაზე უდრიდა 10 წუთს ახლო და 8 წუთს — შორი მანძილის მიმართ, ოპერირებული კნუტის დამახსოვრების დრო განისაზღვრებოდა ახლო მანძილისათვის 3 წუთით და შორი მანძილისათვის — 2 წუთით; № 3 ამოცანას ნორმალური კნუტი წყვეტდა 8—6 წუთის, ოპერირებული კი 2—1,5 წუთის ფარგლებში. თუ ექვსი თვის ნორმალური კნუტის მეხსიერების ზღვარი № 1 ამოცანის შემთხვევაში იყო 12 წუთი ახლო მანძილზე და 10 წუთი შორ მანძილზე — ოპერირებული კნუტის დამახსოვრება განისაზღვრებოდა 2 წუთით, როგორც ახლო, ისე შორი მანძილისათვის; ასევე № 3 ამოცანას ნორმალური კნუტები წყვეტდნენ 10 წუთის ფარგლებში, ოპერირებული კნუტები კი იმავე ამოცანას წყვეტდნენ დაახლოებით 2—3 წუთის ფარგლებში.

## ცხრილი

ნორმალური და შუბლის წილებამოკვეთილი კატის კნუტების მეხსიერების საერთო სურათი

№ №	ასაკი თვენი-ში	ამოცანა №	ამოცანის გადაწყვეტის დრო			
			ნორმალური კნუტები		ოპერირებული კნუტები	
			ახლო მანძილი	შორი მანძილი	ახლო მანძილი	შორი მანძილი
1	2	1	2,45'	1,45'	3'	2'
2	"	2	2,5'	1,5'	2'	1,5'
3	"	4	2,5'	1,5'	2,5'	2'
4	3	1	6''	5'	4'	3'
5	"	3	—	30''	40''	20''
6	5,5	1	10'	8'	3'	2'
7	"	3	8'	6'	2'	1,5'
8	6	1	12'	10'	2'	2'
9	"	3	10'	—	2'	—

მესხიერების ხანგრძლივობას, როგორც ნორმალურ (7), ისე შუბლის წილებში ამოკვეთილ კნუტებში აპირობადებს აღქმის სიძლიერე, მაგალითად, როდესაც ცხოველი მიეკვავს საჭმლიან ჯამთან, ნაწილობრივ ვაჭმევთ და შემდეგ ვაბრუნებთ ადგილზე—ეს ცდა მიმდინარეობს კომპლექსური (კინესთეტიკური, პროპრიოცეპტული, ვესტიბულარული, მხედველობითი, ყნოსვითი, გემოვნებითი) გალიზიანების ფონზე და მესხიერების ზღვარიც გაცილებით დიდია, ვიდრე ცალკე მხედველობითი ან ბგერითი გალიზიანებისას (იხ. ცხრილი № 1).

ამრიგად, როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს, ჩვენი კნუტები, რომელთაც ოპერაციით ამოვაცალეთ შუბლის წილები ჯვარედინი ღარის წინ, საჭმლის ადგილმდებარეობის დამახსოვრებას ისეთივე ხანგრძლივობით ახერხებდნენ. როგორც ოპერაციამდე. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად მათ შეემჩნათ დამახსოვრებაში თანდათანობითი ჩამორჩენა ნორმალურებთან შედარებით; ოპერირებული 6 თვის კნუტის დამახსოვრების ხანგრძლივობა № 1 ამოცანის გადაწყვეტაში ძლივს აღწევს 2 წუთს, იმ დროს როდესაც ნორმალური 6 თვის კნუტის მესხიერების ხანგრძლივობა იზრდება 12 წუთამდე (იხ. ცხრილი № 1).

ის გარემოება, რომ ჩვენს შემთხვევაში ოპერირებული 2 თვის კნუტები მესხიერებით არ განსხვავდებიან ამავე ასაკის ნორმალური კნუტებისაგან, უნდა იყოს პირობადებული, ერთი მხრივ, ოპერაციის შედეგად აღმატებული აგზნებადობის გამო ცხოველის მეტისმეტი აქტივობით (9, 10, 11, 1) და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ახლადშობილ ცხოველებზე—ვირთაგებებზე, ლეკვებზე და, კერძოდ, კატის კნუტებზე ქერქის დაზიანება არ იწვევს ახალ რეაქციითა გამომუშავებისადმი დაბრკოლებას (12). უნდა ვიფიქროთ, რომ პოსტემბრიონალური განვითარების იმ სტადიებზე, როდესაც ქერქს კიდევ არ მიუღწევია სათანადო განვითარებისათვის, ქერქქვეშა წარმონაქმნების აქტიურობა იმდენად დიდია, რომ მათი და ქერქის სხვა ნაწილთა საშუალებით ჯერ კიდევ შესაძლოა ხორციელდებოდეს მოკლენიანი დამახსოვრება. მაგრამ ასაკის მატებასთან დაკავშირებით, როდესაც დამახსოვრების ფუნქცია ქერქზე, კერძოდ შუბლის წილებზე გადადის (13), ოპერირებული კნუტების დამახსოვრების ზღვარი ნორმალურ კნუტებთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ სანამ დიდი ტვინის სათანადო ქერქული ნაწილი ჯერ კიდევ მტკიცედ არ ფუნქციონირებს, მანამ სხვა, ქერქქვეშა ნაწილებსაც შეუძლიათ განახორციელონ შედარებით დაბალი სახით იგივე ფუნქცია; მაგრამ როდესაც ქერქული ნაწილი თავისი მორფოლოგიური და ფუნქციონალური განვითარების გარკვეულ სტადიას მიაღწევს, უკვე ვლინდება მისი აუცილებლობა და წამყვანი მნიშვნელობა თავის ტვინის სხვა ნაწილებთან შედარებით. დროებით კავშირებზე დამყარებული მესხიერების შესახებ ბელენკოვი (12) აღნიშნავს, რომ ღნტოგენეზში დროებითი კავშირები მუშავდება ტვინის ქვედა განყოფილებაში და შემდეგ სტაბილიზირდება ქერქში. ასევე კუბალოვი (14) ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქერქი პირობითი რეფლექსის გამომუშავებისას სრულყოფს იმ მექანიზმებს, რომელნიც მარტივი ფორმით უკვე წარმოადგენილია ცენტრალური ნერვული სისტემის ქვედა ნაწილებში.

ფსიქონერვული პროცესების განხორციელებაში შუბლის წილების მნიშვნელოვანი როლი ცხოველთა ფილოგენეზური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი ავტორის მიერ არის დადასტურებული (1, 2, 3, 7, 10, 13, 15), ადამიანის მიმართ კი ლურას (16) გამოკვლევებით შუბლის წილთა დაზიანებისას სიტყვიერი ინსტრუქცია კარგავს წარმართველ როლს; ადამიანს



მიდრეკილება აქვს სტერეოტიპულობისაკენ. საპირის (17) მონაცემებით შუბლის წილების დაზიანებისას აღამიანს უქვეითდება ინტელექტუალური მოქმედება. ამრიგად, ფილოგენეზური განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას ორგანიზმი, მით უფრო მნიშვნელოვანია შუბლის წილების დაზიანებით გამოწვეული ცვლილებები. ონტოგენეზშიც, ჩვენი ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, რაც უფრო ემატებათ ასაკი კატის კნუტებს, შუბლის წილების დაზიანება მით უფრო მეტად იწვევს მათი მეხსიერების დაკნინებას.

ამრიგად, ჯვარდინი ლარის (*s. cruciatus*) წინ შუბლის წილების ამოკვეთა ორთვიან კატის კნუტებზე არ იწვევს ხანმოკლე მეხსიერების დაქვეითებას, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად მათი მეხსიერების ზღვარი მათივე ასაკის ნორმალურ კნუტებთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება. დაბადებიდან პირველ თვეებში კნუტების შუბლის წილები, ალბათ, ჯერ კიდევ განვითარების იმ დონისა არ არის, რომ მონაწილეობდეს დამახსოვრებაში. მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც შუბლის წილები როგორც მორფოლოგიურად, ისე ფუნქციონალურად მეტნაკლებად ვითარდება, მათი არარსებობა თანდათანობით გავლენას ახდენს კნუტების მეხსიერებაზე.

აღამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა

#### ლიტერატურა

1. А. Н. Брегадзе, Труды Института физиологии, АН ГССР, 8, 1950.
2. Дж. Фультон и К. Ф. Джекобсон, Физиол. журн. СССР, 19, 1936.
3. К. Н. Pribram, М. Mishkin. J. Comp. Physiol. and. Psychol, 48, 1955.
4. М. Lawicka, J. Konorski. Acta Biol. Exp. 19, 1955.
5. И. С. Бериташвили, Об образной психонервной деятельности животных, М., „Наука“, 1966.
6. Р. В. Урываева, А. А. Гамалея, Бюл. эксп. биол. и мед., 2, 1973.
7. ა. ბრეგაძე, მ. მაისურაძე, ზ. ლორია, თბილ. უნივ. შრ., А 8(153), 1974.
8. И. С. Бериташвили, Память животных, её характеристика и происхождение. Тб., „Мецниереба“, 1968. М., „Наука“, 1974.
9. Н. А. Шустин. Физиология лобных долей головного мозга. „Наука“, М., 1959.
10. Ю. Конорский. Проблемы современной физиологии нервной и мышечной системы. Сб., посвященный И. С. Бериташвили, Тбилиси, 1956.
11. O. R. Langworthy, C. P. Richter. Amer. J. Physiol. 129, 1939.
12. Н. Ю. Беленков. Условный рефлекс и подкорковые образования мозга. М., 1965.
13. О. С. Адриянов. Успехи физиол. наук. 4,1,
14. П. С. Купалов, Физиол. журн. СССР, 35, 1949.
15. А. Н. Советов, Бюл. эксп. биол. и мед., 4, 1963.
16. А. Р. Лурия. Вопросы психол., 1, 1955.
17. Н. Д. Сапир. Журн. невропат., психиатр. и психол., 5, 1963.

А. Н. БРЕГАДЗЕ и М. А. МАЙСУРАДЗЕ

#### ИССЛЕДОВАНИЕ ПАМЯТИ У КОТЯТ, ЛИШЕННЫХ ЛОБНЫХ ДОЛЕЙ БОЛЬШИХ ПОЛУШАРИЙ

#### Резюме

С целью выяснения функции лобных долей больших полушарий по отношению памяти в онтогенезе, у двух месячных котят удалялись лоб-

ные доли спереди *s. cruciatus*, после чего, до достижения ими 6 месячного возраста, изучалась у них краткосрочная память методом отсроченных реакций.

Опыты показали, что удаление передних лобных долей вначале не оказывает влияния на предел запоминания, но с увеличением возраста предел запоминания у них значительно отставал по сравнению с нормальными котятми того же возраста.

Надо думать, что в первые месяцы после рождения функция лобных долей у них еще не созрела настолько, чтобы проявляться в запоминании. Однако с увеличением возраста котят, когда лобные доли и морфологически и функционально более или менее созревают, их отсутствие уже оказывает влияние на запоминание.

A. BREGADZE, M. MAISURADZE

#### INVESTIGATION OF MEMORY IN KITTENS WITH THEIR FRONTAL LOBES REMOVED

##### Summary

The function of the frontal lobes in relation to memory ontogenesis was investigated.

For this purpose frontal lobes anterior to *s. cruciatus* were ablated in two-month-old kittens and their short-term memory was investigated during the period before their age reached six months.

Ablation of the anterior frontal lobes did not initially affect the memory limit in kittens, but with maturation this limit dropped significantly in lesioned kittens in comparison to normal kittens of the same age.

## ჭიაყელას კან-კუნთოვანი პარკის კლასტიკურ-ვისკოზური თვისებების შესახებ

მ. გობაგა

დადგენილი იყო (1), რომ ჭიაყელას კან-კუნთოვანი პარკის (გასწვრივი კუნთის) საკუთარი ტონუსი ბევრად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. თუ ტემპერატურა თანდათან იმატებს ან იკლებს  $18-25^{\circ}$ -ის ზეით  $39^{\circ}$ -მდე, ან ქვევით  $5^{\circ}$ -მდე, მაშინ ტონუსი დაცემას განიცდის—კუნთი გრძელდება. ამასთან მცირდება როგორც ავზნებადობა, ისე შეკუმშვის უნარი. მაგრამ ტემპერატურის მოქმედება ერთნაირი არ არის; კუნთის  $5^{\circ}$ -ზე გაცივების შემთხვევაში, როცა ტონუსი და შეკუმშვის უნარი დაქვეითებულია, მაღალი ტემპერატურა ( $30-39^{\circ}$ ) მათ ნაწილობრივ აღადგენს—ტონუსი და შეკუმშვის ინტენსივობა იმატებს. ტონუსის მატება ხანმოკლე ხასიათს ატარებს, მალე იგი პირიქით იცვლება. ტემპერატურის მატებასთან ერთად თანდათან ეცემა და უფრო მკვეთრად, ვიდრე ამას ადგილი აქვს დაბალი ტემპერატურის მოქმედების შემთხვევაში. შეკუმშვის უნარიანობის მომატება კი, როგორც ჩანს, ცოტად თუ ბევრად მეტხანს გრძელდება და ბოლოს ისიც გაივლის, მისი ინტენსივობა შემცირებას იწყებს. ამნაირად, ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საკუთარი ტონუსის დაქვეითება მაღალი ტემპერატურის დროს გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე დაბალი ტემპერატურის მოქმედებისას.

ამ საკითხის დასაზუსტებლად საჭიროდ ვცანით გაგვეკვია, კიდევ რა თავისებურებით ხასიათდება მაღალი და დაბალი ტემპერატურის მოქმედება ჭიაყელას გასწვრივ კუნთზე და როგორ იცვლება მისი პლასტიკურ-ვისკოზური თვისებები და საკუთარი ტონუსი დატვირთვისთან დაკავშირებით<sup>1</sup>.


ცდისთვის აღებული იყო  $2-2,5$  სმ სიგრძის სეგმენტური პრეპარატი, რომელსაც მოშორებული ჰქონდა მუცლის ნერვული ძეწკვი<sup>2</sup>.

პირველ რიგში შესწავლილი იყო კუნთის პასიური გაჭიმვის შედეგი ოთახის ტემპერატურის ( $18-22^{\circ}$ ) პირობებში, ამისათვის ფიზიოლოგიურ ხსნარში კარგად დასველებულ პრეპარატს ვტვირთავდით სხვადასხვა დროის განმავლობაში და ვაკვირდებოდით მრუდის ცვლილებებს. ამ ცდამ დაგვანახვა, რომ  $18$  მმ-ის სიგრძის პრეპარატი,  $5$  გრამით  $15$  წამის განმავლობაში დატვირთული,  $3$  მმ-ით დაგრძელდა, ხოლო  $5$  წუთის განმავლობაში დატვირთული— $6$  მმ-ით. ტვირთის მოხსნის შემდეგ საწყის სიგრძეს პირველ შემთხვევაში იგი თითქმის  $2$  წუთის განმავლობაში იბრუნებს, ხოლო მეორე შემთხვევაში  $1,5$  მმ-ით დაგრძელებული

<sup>1</sup> ექსპერიმენტული სამუშაო შესრულებულია უფროს ლაბორანტ ბ. აღამიასთან ერთად.

<sup>2</sup> მეთოდის იხ. [1]

რჩება (სურ. 1.). იმისათვის, რომ სიგრძე საწყის დონეს დაუბრუნდეს საჭიროა გაცილებით მეტი დრო, ან მიოგრაფის ბერკეტის სიმძიმისაგან მისი განთავისუფლება. დროდრო ბერკეტის ზევით აწევით.



სურ. 1. კან-კუნთოვანი პარკის დატვირთვის გავლენა. კუნთის საწყისი სიგრძე 18 მმ. A—პრეპარატი დატვირთულია 5 გრამით 15 წამის განმავლობაში. დაგრძელება უდრის 3 მმ-ს. ტვირთის მოხსნის შემდეგ იგი 2 წუთის განმავლობაში თითქმის უბრუნდება საწყის სიგრძეს. B—პრეპარატი დატვირთულია იმავე ტვირთით 5 წუთის განმავლობაში, დაგრძელება 6 მმ-ს უდრის. ტვირთის მოხსნიდან 2 წუთის შემდეგ იგი 2,5 მმ-ით დაგრძელებული რჩება. ისარი უჩვენებს კიოგრაფის ცილინდრის წუთშეჩერებას 2 წამით. დანარჩენი განმარტება იხ. ტექსტში.


ამრიგად, რაც უფრო მეტ ხანს ხდება დატვირთვა, მით მეტია კუნთის დაგრძელება და მით მეტი დროა საჭირო საკუთარი ტონუსის აღდგენისათვის ტვირთის მოხსნის შემდეგ.

ნერვული ძეშვკვის მოშორება თავისებურად ცვლის პრეპარატის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, ამიტომ ხშირად ცდის დაწყებამდე იგი იტვირთებოდა 3 გრამით და ცდა ტემპერატურის მოქმედების შესასწავლად იწყებოდა 20—25 წუთის შემდეგ. განვსაზღვრავდით ზღურბლოვანი და მაქსიმალური გაღიზიანების ეფექტს და ვიწყებდით პრეპარატის თანდათანობით გათბობას 39°-მდე და შემდეგ გაცივებას 5°-მდე. გათბობისა და გაცივების ბოლო პერიოდში ხელახლა ვაწარმოებდით აგზნებადობის ხარისხისა და შეკუმშვის ინტენსივობის შესწავლას. გათბობის შედეგად ტონუსი საკმაოდ ინტენსიურად შემცირდა—კუნთი დაგრძელდა, შემცირდა აგზნებადობა და კიდევ უფრო დაეცა შეკუმშვის ინტენსივობა. ამის შემდეგ თანდათანობით 5°-მდე გაცივების შედეგად ტონუსი ნაწილობრივ აღდგა—კუნთი საკმაოდ შემოკლდა, მაგრამ აგზნებადობა და შეკუმშვის ინტენსივობა არამც თუ გაიზარდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო დაეცა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა გათბობის დროს (სურ. 2).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნოდა ტონუსის ცვალებადობის შესახებ, საჭირო იყო ცალკე შეგვესწავლა, რა ემართება კან-კუნთოვანი პარკის პლასტიკურ-ვისკოზურ თვისებებს ტემპერატურის მოქმედების შედეგად. ამისათვის პრეპარატს ვტვირთავდით 5 გრამით, 15 წამის განმავლობაში—გათბობამდე და გათბობის შემდეგ და ვაკვირდებოდით, როგორ იცვლება დატვირთვის

მრუდი თითოეულ შემთხვევაში, ანდა რამდენად აღდგება კუნთის საწყისი სიგრძე ტვირთის მოხსნის შემდეგ. გამოირკვა, რომ ტემპერატურის გავლენით პლასტიკურ-ვისკოზური თვისებები ეცემა, რის გამოც ტონური წინააღმდეგობა პასიური გაწევის მიმართ მცირდება, პრეპარატი მკვეთრად გრძელდება (სურ. 3 A და B) და მისი საკუთარი ტონუსის აღდგენა გრძელდება.

თუ ამ შემთხვევაში პრეპარატს დროდადრო გავათავისუფლებთ მიოგრაფის ბერკეტის სიმძიმისაგანაც, ტონუსი აღდგება, მაგრამ ტონური წინააღმდეგობა პასიური გაწევის მიმართ კვლავ დაცემული რჩება, კან-კუნთოვანი პარკი მცირე ტვირთის გავლენითაც კი თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გრძელდება იმაზე მეტად, ვიდრე რომელიმე წინა შემთხვევაში. მაგრამ ამ დროს საკმარისია ზომიერი ინტენსივობის ხანმოკლე ერთჯერადი გაღიზიანება, რომ ტონური



სურ. 2. დასვენებისა და ტემპერატურის გავლენა, როდესაც ჯერ გათბობა და შემდეგ გაცივება წარმოებს.


A—დასვენების პერიოდი და ზღურბლოვანი და მაქსიმალური გაღიზიანების ეფექტი. B—ზღურბლოვანი და მაქსიმალური გაღიზიანების ეფექტი პრეპარატის 39°-მდე გათბობის შემდეგ. C—მაქსიმალური გაღიზიანების ეფექტი 5°-მდე გაცივების შემდეგ. დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც პირველ სურათზე.

წინააღმდეგობა საესებით აღდგეს, თუმცა საკუთარი ტონუსი რამდენადმე მაინც რჩება დაცემული (სურ. 3 C და D). ამ შემთხვევაში საკუთარი ტონუსის დაცემა გამოწვეული უნდა იყოს კუნთში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის მეტად თუნაკლებად შემცირების შედეგად.

ასეთივე წესით იყო შესწავლილი დაბალი (5°) ტემპერატურის გავლენა პლასტიკურ-ვისკოზურ თვისებაზე და გამოირკვა, რომ კუნთის წინააღმდეგობა პასიური გაწევის (მოქმედი ტვირთის) მიმართ დაბალი ტემპერატურის მოქმედების შემთხვევაში უფრო მეტია, ვიდრე მაღალი ტემპერატურის მოქმედების შემთხვევაში.

ამგვარად, როგორც გათბობა, ისე გაცივება ერთი მიმართულებით მოქმედებს. ორივე მათგანი ამცირებს როგორც საკუთარ ტონუსს, ისე აგზნებადობას და

შეკუმშვის ინტენსივობას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გათბობის შემთხვევაში ტონუსის დაცემა უფრო ძლიერია, ვიდრე გაცივების შემთხვევაში. და შეკუმშვის ინტენსივობა კი პირიქით, დაბალი ტემპერატურის გავლენით უფრო მცირდება, ვიდრე მაღალი ტემპერატურის მოქმედებით. პლასტიკურ-ვისკოზური წინააღმდეგობა პასიური გაწევის (მოქმედი ტვირთის) მიმართ დაბალი ტემპერატურის მოქმედებისას უფრო მეტია (კუნთი უფრო ნაკლებად ვრცელდება), ვიდრე მაღალი ტემპერატურის მოქმედებისას. რაც შეეხება შეკუმშვის შემდეგ ტონურ მოქმედებას, ორივე შემთხვევაში იგი შენარჩუნებულია მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით.



სურ. 3. ტემპერატურისა და რიტმული გაღიზიანების გავლენა პლასტიკურ-ვისკოზურ თვისებებზე და ტონურ წინააღმდეგობაზე.

A—კან-კუნთოვანი პარკი დატვირთულია 5 გრამით 15 წამის განმავლობაში (ოთახის ტემპერატურა—18°). B—პრეპარატი დატვირთულია 5 გრამით 15 წამის განმავლობაში 35°-მდე გათბობისთანავე. C—ერთჯერადი გაღიზიანება (8 სმ კ. შ. მ.). D—პრეპარატი დატვირთული 5 გრამით 15 წამის განმავლობაში; გაღიზიანების შემდეგ ტონური წინააღმდეგობა აღდგა, მრუდი ისეთივეა. როგორც საწყის პერიოდში; დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც წინა სურათზე.

ტონუსის დაცემისა და აღდგენის მრუდი თავისებურია თითოეული სახის კუნთისათვის და იგი ძირითადად დამოკიდებულია მის პლასტიკურ-ელასტიკურ თვისებებზე (2). ტონუსის, როგორც დაცემის (კუნთის დაგრძელების), ისე აღდგენის (შემოკლების) პერიოდი ორ ფაზად შეიძლება დაიყოს: სწრაფი და ნელი დაგრძელებისა და სწრაფი და ნელი აღდგენის ფაზებად. რაც უფრო ნაკლებად პლასტიკურია კუნთი, მით უფრო მცირეა დაგრძელება პირველი პერიოდის მეორე ფაზაში და მეტია შემოკლება ტვირთის მოხსნის შემდეგ მეორე პერიოდის პირველ ფაზაში, მეტი ელასტიკურობის გამო. თანაც რაც უფრო პლასტიკურია იგი, მით უფრო მეტია მისი დაგრძელება პირველი პერიოდის მეორე ფაზაში და ნაკლებია შემოკლება მეორე პერიოდის პირველ ფაზაში, მცირე ელასტიკურობის გამო (2, 3, 4).

აღდგენის მეორე ფაზა ბევრადაა დამოკიდებული დატვირთვის ხანგრძლივობაზე. ხანგრძლივი დატვირთვისას პლასტიკური დაგრძელება საკმაოდ დიდია და სიგრძის სპონტანური აღდგენაც გახანგრძლივებულია. ამ ფაზაში აღდგენის სიჩქარე ძირითადად კუნთის ფუნქციურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ჭიაყელას კან-კუნთოვანი პარკი კარგად გამოხატული პლასტიკურობით ხა-

სიათღება, ამიტომ მისი დაგრძელება პირველი პერიოდის მეორე ფაზაში ინტენსიურია და მრუდის ეს ნაწილი საკმაოდ ციცაბოა. ტვირთის მოხსნის შემდეგ (მეორე პერიოდში) სპონტანური აღდგენის მეორე ფაზა, ხანგრძლივი დატვირთვის შემთხვევაში დიდხანს მიმდინარეობს და ტონუსის აღდგენაც გვიან მოხდება, თუ კუნთი სრულიად არ იქნა განთავისუფლებული ყოველგვარი დატვირთვისაგან. როგორც ჩანს, ხანგრძლივი დატვირთვისას პლასტიკური ელემენტების ისეთიანრიც ცვლილება ხდება, რაც ხელს უშლის ტვირთის მოხსნის შემდეგ სპონტანური აღდგენის პროცესს (2).

პლასტიკურობა და ელასტიკურობა მოქმედებს როგორც ურთიერთ საწინააღმდეგო ძალები, ამიტომ ელასტიკური დაგრძელება, რომელიც გამოწვეულია კუნთის განსაზღვრულ სიგრძემდე ვაჭიმვით, მცირდება პლასტიკურობის წყალობით კუნთის ახალი სიგრძის დამყარებასთან დაკავშირებით(2).

ჭიაყელას კან-კუნთოვანი პარკის ტონუსის გაძლიერება ტემპერატურის მოქმედების საწყის პერიოდში გამოწვეული უნდა იყოს ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებით, ხოლო შემდეგი დაცემა— პლასტიკურ-ვისკოზური წინააღმდეგობის შემცირებით. ტემპერატურის ხანგრძლივი მოქმედების შემთხვევაში ტონუსის უფრო ძლიერი დაცემა კი პირობადებული უნდა იყოს, გარდა პლასტიკურ-ვისკოზური წინააღმდეგობის შემცირებისა, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის დაქვეითებით (3).

გათბობისა თუ მუშაობის შემდეგ, ერთჯერადი გაღიზიანების გავლენით პლასტიკურ-ვისკოზური წინააღმდეგობის თითქმის სავსებით დაბრუნება საწყის მდგომარეობაში, მაგრამ საკუთარი ტონუსის რამდენადმე მაინც დაქვეითებულად დარჩენა გამოწვეული უნდა იყოს კუნთში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობის შემცირებით (5, 6).

ბერიტაშვილის აზრით, ცოცხალი (ჩონჩხის) კუნთი ვაჭიმვის შემდეგ მისი ფიზიკური, პლასტიკურ-ვისკოზური თვისებების გამო რამდენადმე მოკლებდა, მაგრამ ამასთან იგი აქტიურ შემოკლებასაც განიცდის მასში მიმდინარე ძირითადი ენერგეტიკული პროცესის წყალობით, რის გამოც მისი საწყისი სიგრძე 1—2 წუთში აღდგება (2). რაც მეტია კუნთის პლასტიკურ-ვისკოზური თვისებები და რაც უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს მასში ნივთიერებათა ცვლა, მით უფრო სწრაფად წარმოებს ეს პროცესი, თითოეულ აღებულ მომენტში კუნთში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესთა საფუძველზე წარმოშობილი აქტიური შემოკლების შენარჩუნება მისი პლასტიკურ-ვისკოზური თვისების წყალობით ხდება (3).

ძირითად ენერგეტიკულ პროცესს, რომელიც კუნთოვან ბოჭკოთა შიგნით მიმდინარეობს, კუნთის შემოკლება შეუძლია მხოლოდ კუმშვად ელემენტებზე მოქმედების შედეგად, ამიტომ საკუთარი ტონუსი წარმოადგენს შეკუმშვის პროცესს, რომელიც კუნთის „მოსვენების“ მდგომარეობისას მიოფიბრილებში მიმდინარეობს (2).

ჭიაყელას კან-კუნთოვანი პარკის ტონური შემდეგმოქმედება უთუოდ ბევრად არის დამოკიდებული კუნთის პლასტიკურ-ვისკოზურ თვისებებზე, მაგრამ მასში ერთგვარ როლს აგრეთვე კუმშვადი ელემენტების, მიოფიბრილების თავისებური თვისებაც უნდა ასრულებდეს—უპასუხონ გაღიზიანებას ხანგრძლივი შეკუმშვით.

ბერიტაშვილის აზრით ჩონჩხის კუნთების პლასტიკურ-ვისკოზური თვისებები და შეკუმშვა ერთი და იგივე ნივთიერების—სარკოპლაზმის და მიოფიბრილების ფუნქციაა (3). უხერხემლოების გლუვ კუნთებში ეს ფუნქცია ჩვენი შეხედულებით

მიოფიბრილებს და კინოპლაზმას ეკუთვნის და შეკუმშვის ხანგრძლივ მიმდინა-  
რება, რომელიც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, გარდა კინოპლაზმისა, მიოფიბრილებსაც  
უნდა ახასიათებდეს.

ადიონისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა

#### ლიტერატურა

1. М. В. Гогова, Сообщ. АН ГССР, 68, I, 1972.
2. И. С. Беритов и О. А. Нивинская. Тр. Института физиологии им. Бериташвили, 4, 1941.
3. И. С. Беритов. Сб. Тр., посвя. 50-летию научно-педагог. деятельности В. В. Воронина, Тб., 1941.
4. И. С. Беритов, О. А. Нивинская и С. П. Таругов, Тр. Тбилисского государственного университета им. Сталина, XXXII, 1945.
5. И. С. Беритов, Общая физиология мышечной и нервной систем, I, М., 1959.
6. Х. С. Коштойац и В. А. Мужеев. Биол. журн., 6, Сообщ. I, 1933.

М. ГОГАВА

### О ПЛАСТИКО-ВИСКОЗНЫХ СВОЙСТВАХ КОЖНО-МЫШЕЧНОГО МЕШКА ДОЖДЕВОГО ЧЕРВЯ

#### Резюме

Изучены пластико-вискозные свойства и собственный тонус кожно-мышечного мешка дождевого червя при действии температуры, нагрузки и индукционного раздражения.

Опыты ставились на сегментном препарате кожно-мышечного мешка, длиной 2—2,5 см. с отделенной нервной цепочкой.


Как нагревание, так и охлаждение препарата действуют в одном направлении. Они понижают как собственный тонус, так и степень возбудимости и интенсивности сокращения, но при нагревании (до 39°) тонус падает больше, чем при охлаждении (до 5°). Возбудимость и сокращение понижаются больше при действии низкой температуры, чем при действии высокой температуры. Пластико-вискозное сопротивление по отношению пассивного растяжения во время действия низкой температуры больше (мышца укорачивается менее), чем во время действия высокой температуры. После сокращения тонус препарата сохраняется в обоих случаях частично.

М. GOGAVA

### ON THE PLASTIC-VISCOSE PROPERTIES OF THE SKIN-MUSCULAR SAC OF THE RAIN-WORM

#### Summary

The own tone is caused by plastic-viscose property and metabolism. Therefore weakening one of these two factors directly influences the own tone.



ადმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ველური და  
კულტურული მარწყვის მავნე ენტომოფაუნის (ხეზეზოფრთიანები)  
შეხვედრისათვის

3. მუხევი

ველური და კულტურული მარწყვის მავნე ენტომოფაუნის შესწავლის მიზნით აღმოსავლეთ საქართველოში 1965—1966 წლებში ჩატარებული საქსპედიციო სამუშაოების დროს შეგროვებულ მასალაში გარკვეული იქნა ქვემოთ აღნიშნული ხეზეზოფრთიანები (Coleoptera), რომლებიც, როგორც მავნე ფორმები, აზიანებენ ველურ და კულტურულ მარწყვს.

1. *Apion elegantulum* Germ. ლიტერატურის [4] მიხედვით გავრცელებულია ევროპაში, ალჟირში, სირიაში, კავკასიაში. საქართველოდან [1]—მცხეთაში, ქართლში, სამხრეთ ოსეთში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: ბახტრიონის მიდამოებში (22, V. 1965), ვაშლოვანის ნაკრძალში (4, IV. 1965). ზოგი ავტორის [1, 2, 3] მიხედვით და ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ახალ აღმონაცენ ფოთლებს და ყლორტებს.

2. *Apion punctirostre* Gyll: ავტორების [4,9] მიხედვით გავრცელებულია ევროპაში, ციმბირში, თურქეთში, კავკასიაში. საქართველოდან [1]—ციცოვანბორში, მთათუშეთში, ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: ლაგოდეხში (28, VI. 1965), ახმეტაში (22, VI, 1965), ჯაბურში (28, VI 1965). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ახალ აღმონაცენ ფოთლებსა და ყლორტებს.

3. *Apion seniculus* Kirby: ლიტერატურის [4] მიხედვით გავრცელებულია კავკასიაში. საქართველოდან [1] სიღნაღში, ბოდბეში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: ბახტრიონის მიდამოებში (22, V. 1965), წითელწყაროში (5, VI. 1965). ე. შალაპენოკის და დ. რომაშოვის [10] მიხედვით გვხვდება ბუჩქებსა და ხეებზე (ფიჭვი, ნაძვი, ტირიფი, ვერხვი, მურყანი). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ფოთლებს.

4. *Apion aestivum* Germ.: ლიტერატურის [8] მიხედვით გავრცელებულია ევროპაში. საქართველოდან [1] ბორჯომში, აწყურში, ახალციხეში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: ბახტრიონის მიდამოებში (22, V. 1965), ღუისში (25, V. 1965), წითელწყაროში (3, VI. 1965), ზემოქედში (5, VI. 1965), ე. სავზდარგის [5] მიხედვით და ჩვენი დაკვირვებით ამ სახეობის ლარვული ფორმები აზიანებენ მარწყვის ახალგაზრდა ფოთლებს და ყლორტებს.

5. *Apion curvirostre* Gyll.: ლიტერატურის [6] მიხედვით გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, საქართველოდან [1] გურჯაანში, ველისციხეში, ყვარელში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: ღუისში (25, V. 1965), წითელ-



წყაროში (3. VI. 1965), ვაშლოვანის ნაკრძალში (4. VI. 1965), ლავიანში (8. VI. 1965). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ფოთლებსა და ყლორტებს.

6. *Apion miniatum* Germ: ლიტერატურის [6] მიხედვით გავრცელებულია საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში. საქართველოდან [1] ბორჯომში, აწყურში, ახალციხეში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: ახმეტაში (29. V. 1965), ვაშლოვანის ნაკრძალში (4. VI. 1965), ზემოქედში (5. VI. 1965). ა. სოკოლოვის [7] მიხედვით და ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ფოთლებსა და ყლორტებს.

7. *Larinus turbinatus* Gyll: ლიტერატურის [9] მიხედვით გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, შუა აზიაში, კავკასიაში. საქართველოდან [1] მისი გავრცელება აღნიშნულია ოსმალეთში, ჯვარბოსელში, ალაზნის ხეობაში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: თელავში (5. VI. 1966), ყვარელში (10. VI. 1966), ახმეტაში (15. VIII. 1966). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ახალგაზრდა ფოთლებსა და ყლორტებს.

8. *Larinus planus* Eieb: ლიტერატურის [6] მიხედვით გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, კავკასიაში. საქართველოდან [1] გავრცელებულია ტაბახმელაში, კოჯორში, კიკეთში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: კრწანისში (15. VI. 1965), თელავში (8. VI. 1966), გრემში (14. VI. 1966). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ახალგაზრდა ფოთლებს და ყლორტებს.

9. *Larinus minutus* Gyll: ლიტერატურის [8] მიხედვით გავრცელებულია უნგრეთში, ბალკანეთში, საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში. საქართველოდან [1] გავრცელებულია საგარეჯოში, თოხლიაურში, მანავში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: აწყურში (7. VIII. 1966), ახალციხეში (10. VIII. 1966). აზიანებს მარწყვის ახალგაზრდა ფოთლებს და ყლორტებს.

10. *Phytonomus nigrirostris* Fieb: ლიტერატურის [4] მიხედვით გავრცელებულია საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში. საქართველოდან [1] ყვარელში, ზემო და ქვემო ალვანში. ჩვენ ვიპოვეთ თელავში (8. VI. 1966), კონდოლში (10. VI. 1966), გრემში (14. VI. 1966). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ფოთლებს და ყლორტებს.

11. *Sitona humeralis* Steph: ლიტერატურის [4] მიხედვით გავრცელებულია შუა ევროპაში, შუა აზიაში, კავკასიაში, საქართველოდან [1] მთათუშეთში, სიღნაღში, ბოდბეში. ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს შემდეგ ადგილებში: კონდოლში (10. VI. 1966), ფშაველში (7. VI. 1966), ახმეტაში (20. V. 1965), ყვარელში (11. VI. 1966). ჩვენი დაკვირვებით აზიანებს მარწყვის ფოთლებს.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში 1965—1966 წლებში შეგროვებული მასალის დამუშავების შედეგად ჩვენ მიერ პირველად აღინიშნა, როგორც მარწყვის მავნებელი 11 სახეობის მწერი, რომლებიც ხეშემფრთიანთა რიგის (Coleoptera) ცხვირგრძელების (Curculionidae) ოჯახს ეკუთვნიან.

უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრა

#### ლიტერატურა

1. ა. სოკოლოვა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. 29, 6, 1962.
2. Л. К. Естерберг. Уч. зап. Горьк. ун-в., 1939.
3. В. Н. Корчагин. Защита сада от вредителей и болезней. М., 1965.
4. Ф. К. Лукьянович. Русск. энтом. обозр. XXII, 1962.
5. Э. Э. Савздарг. Вредители ягодных культур, М., 1960.

6. Н. Г. Самедов. Изд. АН Аз. ССР, Баку, 1963.
7. А. Д. Соколов. Вредители и болезни земляники и борьба с ними. М., Л., — 1934.
8. М. Е. Тер-Минасян. Изв. Арм. фил. АН СССР, 8(20), 1942.
9. М. Е. Тер-Минасян. Энт. обозр., 26, 4, 1962.
10. Е. С. Шалапенко, Д. Д. Ромашов. Зоол. журн., 39, 9, 1960.

В. Д. МУНДЖИШВИЛИ

К ИЗУЧЕНИЮ ВРЕДНОЙ ЭНТОМОФАУНЫ (ЖЕСТКОКРЫЛЫЕ)  
 ДИКОЙ И КУЛЬТУРНОЙ ЗЕМЛЯНИКИ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В результате исследования в 1965—1966 гг. вредной энтомофауны дикой и культурной земляники в некоторых районах Восточной Грузии впервые выявлены в качестве вредителей земляники 11 видов насекомых, принадлежащих к сем. долгоносиков (Curculionidae) отряда жесткокрылых (Coleoptera), а именно: *Apion elegantulum* Germ. *A. punctirostre* Gyll. *A. seniculus* Kirby. *A. aestivum* Germ. *A. curvirostre* Gyll. *A. miniatum* Germ. *Larinus turbinatus* Gyll. *L. planus* Fieb. *L. minutus* Gyll. *Phytonomus nigrirostris* Fieb. *Sitona humeralis* Steph.

V. MUNJISHVILI

TOWARD THE STUDY OF HARMFUL ENTOMOFAUNA (COLEOPTERA) OF WILD-  
 AND CULTIVATED STRAWBERRIES IN EASTERN GEORGIA

Summary

As a result of a study carried out in 1965—66 in some districts of Northern Georgia for the first time two kinds of harmful entomofauna of wild- and cultivated strawberry were found: *Apion elegantulum* Germ, *Apion punctirostre* Gyll, *Apion seniculus* Kirby, *Apion curvirostre* Gyll. *Apion miniatum* Germ, *Apion aestivum* Germ, *Larinus turbinatus* Gyll, *Larinus planus* Fieb. *Larinus minutus* Gyll. *Phytonomus nigrirostris* Fieb. *Sitona humeralis* Steph.



## ЭКОЛОГО-ЗООГЕОГРАФИЧЕСКИЙ ОБЗОР ПТИЦ СВАНЕТИ

Р. Г. ЖОРДАНИЯ, Г. С. ГОГИЛАШВИЛИ

Орнитофауна Сванети\* специальному изучению не подвергалась. Фрагментарные сведения о птицах Сванети содержатся в книгах Г. И. Раде: в его отчёте о путешествии в т. н. „Мингрельские Альпы“ [1] и в известной монографии о птицах Кавказа [2]. Кроме того, нами были обнаружены три вида птицы в музейных коллекциях: так, в орнитологической коллекции Государственного музея Грузии им. академика С. Н. Джанашия АН ГССР оказалось 2 вида птиц (большая синица, кавказский жулан), добытые в Сванети И. Д. Чхиквишвили, а в орнитологической коллекции Зоологического института АН СССР—один вид (лазоревка), добытый 21. XI—3. XII. 1879 г. „по дороге в Сванети“ И. Михаловским. Несколько видов птиц из Сванети названы в диссертациях географов [3, 4].

Материалом для настоящей работы послужила специальная орнитологическая экспедиция, работавшая в 1966 году.

Не имея возможности опубликовать в одной работе как фаунистические списки с данными наших наблюдений, так и эколого-зоогеографический анализ фауны птиц Сванети, мы предлагаем в настоящей работе лишь анализ орнитофауны.

В Сванети мы зарегистрировали всего 78 гнездящихся видов птиц и 17 видов, встречающихся здесь во время миграций. С зоогеографической (орнитогеографической) точки зрения, птицы Сванети относятся к трём группам, это: космополитические, общеголарктические и палеарктические виды.

Космополитические виды: *Falco tinnunculus*, *Accipiter gentilis*, *Milvus korschun*, *Gyps fulvus*, *Gypaëtus barbatus*, *Coturnix coturnix*, *Columba livia*, *Cuculus canorus*, *Merops apiaster*, *Upupa epops*, *Eremophila alpestris*, *Motacilla alba*, *Motacilla cinerea*, *Troglodytes troglodytes*, *Saxicola torquata*, *Parus major*, *Prunella collaris*, *Coccothraustes coccothraustes*, *Passer domesticus*, *Corvus corax*.

Общеголарктические виды: *Aquila chrysaëtus*, *Hirundo rustica*, *Anthus spinoletta*, *Certhia familiaris*.

\* Высокогорная часть Западной Грузии, составляющая в настоящее время Лен-техский (Нижняя Сванети) и Местийский (Верхняя Сванети) районы Грузинской ССР.




Палеарктические виды: *Accipiter nisus*, *Aegipius monachus*, *Buteo buteo*, *Pernis apivorus*, *Lyrurus mlocosiewiczzi*, *Alectoris graeca*, *Tetraogallus caucasicus*, *Crex crex*, *Streptopelia turtur*, *Bubo bubo*, *Strix aluco*, *Apus apus*, *Dryocopus martius*, *Picus viridis*, *Dendrocopos major*, *Alauda arvensis*, *Delichon urbica*, *Anthus campestris*, *Anthus trivialis*, *Motacilla flava*, *Lanius collurio*, *Cinclus cinclus*, *Turdus viscivorus*, *Turdus ericetorum*, *Turdus torquatus*, *Turdus merula*, *Saxicola rubetra*, *Phoenicurus phoenicurus*, *Phoenicurus ochruros*, *Luscinia megarhynchos*, *Phylloscopus collybitus*, *Phylloscopus trochiloides*, *Sylvia atricapilla*, *Sylvia communis*, *Muscicapa striata*, *Parus coeruleus*, *Parus ater*, *Certhia brachydactyla*, *Prunella modularis*, *Emberiza cia*, *Carduelis carduelis*, *Spinus spinus*, *Acanthis cannabina*, *Acanthis flavirostris*, *Serinus pusillus*, *Pyrrhula pyrrhula*, *Carpodacus erythrina*, *Fringilla coelebs*, *Montifringilla nivalis*, *Sturnus vulgaris*, *Corvus corone*, *Corvus frugilegus*, *Pyrrhocorax graculus*, *Garrulus glandarius*.

В свою очередь палеарктические виды относятся к различным типам фаун, так к европейскому типу фауны относится 24 вида (*Crex crex*, *Streptopelia turtur*, *Strix aluco*, *Apus apus*, *Picus viridis*, *Anthus trivialis*, *Turdus viscivorus*, *Turdus ericetorum*, *Turdus merula*, *Saxicola rubetra*, *Phoenicurus phoenicurus*, *Luscinia megarhynchos*, *Phylloscopus collybitus*, *Sylvia atricapilla*, *Sylvia communis*, *Muscicapa striata*, *Parus coeruleus*, *Certhia brachydactyla*, *Prunella modularis*, *Carduelis carduelis*, *Acanthis cannabina*, *Fringilla coelebs*, *Sturnus vulgaris*, *Corvus corone*), к сибирскому типу фауны относятся 2 вида (*Dryocopus martius*, *Pyrrhula pyrrhula*), к средиземноморскому типу фауны 1 вид (*Serinus pusillus*), к монголо-тибетскому типу фауны относятся 3 вида (*Acanthis flavirostris*, *Montifringilla nivalis*, *Pyrrhocorax graculus*), 1 вид принадлежит к китайскому типу фауны (*Phylloscopus trochiloides*), 12 видов широко распространены в палеарктике и относятся к т. н. транспалеарктическим видам (*Accipiter nisus*, *Buteo buteo*, *Bubo bubo*, *Alauda arvensis*, *Delichon urbica*, *Motacilla flava*, *Lanius collurio*, *Cinclus cinclus*, *Phoenicurus ochruros*, *Parus ater*, *Spinus spinus*, *Corvus frugilegus*); 2 вида характерны как для европейского, так и для средиземноморского типов фаун (*Dendrocopos major*, *Turdus torquatus*), 2 вида — для европейского и китайского типов фаун (*Pernis apivorus*, *Garrulus glandarius*), 2 вида — для средиземноморского и китайского типов фаун (*Emberiza cia*, *Carpodacus erythrina*) и 3 вида характерны как для средиземноморского, так для монголо-тибетского типов фаун (*Aegipius monachus*, *Alectoris graeca*, *Anthus campestris*), а 2 вида — эндемики (*Lyrurus mlocosiewiczzi*, *Tetraogallus caucasicus*).

Мигранты также относятся к тем же трём группам.

Космополитические виды: *Ardea cinerea*, *Ardea purpurea*, *Ardeola ralloides*, *Bubulcus ibis*, *Fulica atra*, *Charadrius hiaticula*, *Chlidonias hybrida*.

Общегооларктические виды: *Anas platyrhynchos*, *Mergus merganser*.



Палеарктические виды: *Cygnus cygnus*, *Aythya nyroca*, *Grus grus*, *Scolopax rusticola*, *Capella gallinago*, *Capella media*, *Lymnocyrtes minima*, *Turdus pilaris*.

Таким образом, мы имеем следующую картину поотрядной зоогеографической принадлежности всех птиц, зарегистрированных на территории Сванети (см. таблицу).

Таблица поотрядной зоогеографической принадлежности птиц Сванети.  
А) гнездящиеся виды

№№ п/п	Название отряда	В и д ы			
		всего	космополитические	общепалеарктические	палеарктические
I	Falconiformes	10	5	1	4
II	Galliformes	4	1	—	3
III	Balliformes	1	—	—	1
IV	Columbiformes	2	1	—	1
V	Cuculiformes	1	1	—	—
VI	Strigiformes	2	—	—	2
VII	Micropodiformes	1	—	—	1
VIII	Coraciiformes	1	1	—	—
IX	Upupiformes	1	1	—	—
X	Piciformes	3	—	—	3
XI	Passeriformes	52	10	3	39
	всего	78	20	4	54

Б) мигранты

I	Ciconiiformes	4	4	—	—
II	Anseriformes	4	—	2	2
III	Gruiformes	1	—	—	1
IV	Balliformes	1	1	—	—
V	Charadriiformes	5	2	—	3
VI	Lariformes	1	1	—	—
VII	Passeriformes	1	—	—	1
	всего	17	8	2	7

Что касается экологического обзора, то мы, согласно ландшафтно-русскому делению А. Г. Исаченко—Р. Л. Бэме [5], группируем птиц Сванети в следующие фаунистические комплексы (по русам):

Среднегорье

Горно-лесная фауна

Высокогорье

Высокогорно-кустарниковая фауна

Фауна высокогорных скал, осыпей, ущелий

Горно-луговая фауна

Горно-лесная фауна представлена в Сванети следующими видами: *Lyrurus mlocosiewiczzi*, *Streptopelia turtur*, *Falco tinnunculus*, *Accipiter gentilis*, *Accipiter nisus*, *Milvus korschun*, *Bubo bubo*, *Strix aluco*, *Cuculus canorus*, *Upupa epops*, *Dryocopus martius*, *Picus viridis*, *Dendrocopos major*, *Apus apus*, *Corvus corax*, *Corvus corone*, *Corvus frugilegus*, *Garrulus glandarius*, *Coccothraustes coccothraustes*, *Carduelis carduelis*,



*Spinus spinus*, *Serinus pusillus*, *Pyrrhula pyrrhula*, *Carpodacus erythrinus*, *Fringilla coelebs*, *Emberiza cia*, *Anthus trivialis*, *Certhia brachydactyla*, *Certhia familiaris*, *Parus major*, *Parus coeruleus*, *Parus ater*, *Muscicapa striata*, *Phylloscopus collybitus*, *Phylloscopus trochiloides*, *Sylvia atricapilla*, *Sylvia communis*, *Turdus viscivorus*, *Turdus ericetorum*, *Turdus torquatus*, *Turdus merula*, *Saxicola rubetra*, *Phoenicurus phoenicurus*, *Luscinia megarhynchos*, *Prunella modularis*, *Troglodites troglodites*.

Высокогорно-кустарниковая фауна представлена следующими видами: *Lyrurus mlocosiewiczzi*, *Falco tinnunculus*, *Milvus korschun*, *Merops apiaster*, *Acanthis flavirostris*, *Carpodacus erythrina*, *Anthus campestris*, *Muscicapa striata*, *Lanius collurio*, *Turdus torquatus*, *Saxicola torquata*.

Фауна высокогорных скалосыпей, ущелий представлена следующими видами: *Alectoris graeca*, *Tetraogallus caucasicus*, *Columba livia*, *Gyps fulvus*, *Aegipius monachus*, *Gypaetus barbatus*, *Aquila chrysaetus*, *Buteo buteo*, *Pernis apivorus*, *Pyrrhocorax graculus*, *Montifringilla nivalis*, *Emberiza cia*, *Motacilla cinerea*, *Phoenicurus ochruros*, *Prunella collaris*, *Cinclus cinclus*, *Serinus pusillus*, *Hirundo rustica*, *Delichon urbica*.

Горно-луговая фауна представлена в Сванети следующими видами птиц: *Coturnix coturnix*, *Crex crex*, *Sturnus vulgaris*, *Acanthis cannabina*, *Alauda arvensis*, *Eremophila alpestris*, *Motacilla alba*, *Motacilla flava*, *Anthus spinoletta*.

Кроме того, необходимо отметить и синантропные виды, это: *Passer domesticus*, *Phoenicurus ochruros*, *Hirundo rustica*, *Delichon urbica*, а в некоторых местах Лентехского района (Нижняя Сванети), кроме того, — *Merops apiaster*, *Emberiza cia* и *Carpodacus erythrina*.

Таким образом, всего в Сванети нами зарегистрировано 95 видов птиц, из коих основными (гнездящимися) элементами являются 78 видов (82%), а мигрантами 17 видов (18%).

Среди гнездящихся видов большее место занимают палеарктические виды (54; 69%), на следующем месте космополитические виды (20; 26%); меньше всего общеголарктических видов (4; 5%).

Среди мигрантов большее место принадлежит космополитическим видам (8; 47%), затем идут палеарктические виды (7; 42%), а меньше всего общеголарктических видов (2; 12%).

Экологический анализ гнездящихся видов даёт следующую картину: большинство птиц Сванети — дендрофильные виды (53; 68%), на следующем месте саксо-руниморфные виды (20; 26%), затем кампестрофильные виды (10; 13%), а 7 видов (9%) — синантропы.

Кафедра зоологии позвоночных

#### ЛИТЕРАТУРА

1. Г. И. Радде, Путешествие [в Мингрельских Альпах и в трёх их верхних продольных долинах (Рион, Цхенис-Цхали и Ингур). Тиф., 1866.

2. Г. И. Радле, Орнитологическая фауна Кавказа (Ornis Caucasia), Тифлис, 1884.
3. დ. უკლება, ზემო სვანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დანახაობებისათვის. თბ. 1950.
4. Д. С. Толорая, Физико-географическая характеристика Нижней Сванети. Тб., 1963.
5. Р. Л. Бёме, Горная авифауна Южной Палеарктики. Изд. МГУ. М., 1971.

რ. ჟორდანია, გ. გოგილაშვილი

## სვანეთის ფრინველთა ეკოლოგიურ-ზოოგეოგრაფიული მიმოხილვა

### რეზიუმე

სვანეთში რეგისტრირებულია სულ 95 სახის ფრინველი, რომელთა შორის მობუდარი (ძირითადი) ელემენტია 78 სახე (82%), ხოლო მიმომფრენი—17(18%). მობუდარი ფრინველებიდან 54(69%) — პალეარქტიკული სახეა, 20—კოსმოპოლიტური (26%), ხოლო 4—საერთოპოლარქტიკული (5%). მიმომფრენი ფრინველებიდან კოსმოპოლიტურია 8 სახე (47%), პალეარქტიკულია 7 სახე (42%) და 2 სახეც (12%) — საერთოპოლარქტიკულია. დადგენილია, რომ მობუდარ ფრინველთა უმრავლესობა დენდროფილურია (53; 68%); მომდეგო ადგილზეა—სახეთა რაოდენობის მიხედვით საქსო-რუპიმორფული ფრინველები (20; 26%), შემდეგ კამპესტროფილური ფრინველები (10; 13%) ხოლო, 7 სახე კი (9%)—სინანთროპულია.

R. ZHORDANIA, G. GOGILASHVILI

## ECOLOGICAL-ZOOGEOGRAPHICAL OBSERVATION OF THE BIRDS OF SVANETI (GEORGIA, CAUCASUS)

### Summary

Birds of Svaneti had not been specially studied until the present. The authors have recorded 95 species of birds; of these 78(82%) are nesting species and 17(18%) migrants. Of the nesting birds, 54 species (69%) are palaeartic, 20 species (26%) cosmopolitan and 4 species (5%) holarctic ones.

Of the migrants 8 species (47%) are cosmopolitan, 7 species (42%) palaeartic and 2 species (12%) holarctic.

An ecological analysis has shown that most of the nesting species (53; 68%) are dendrophilous; the second place is occupied by saxo-rupetrine birds (20, 26%), then come campestral birds (50; 13%), and 7 species (9%) are sinanthropic.

## НОВЫЕ ПУНКТЫ НАХОДОК НЕКОТОРЫХ ВИДОВ СКАЛЬНЫХ ЯЩЕРИЦ В ГРУЗИИ

М. А. БАКРАДЗЕ

Скальные ящерицы Кавказа, в частности Грузии, привлекают к себе всё большее внимание исследователей в связи с анализом естественных гибридных и промежуточных популяций, эволюционным значением полиплоидии, партеногенеза, а также тем, что они являются удобной моделью для изучения ряда сложных вопросов, связанных с внутривидовым полиморфизмом и проблемой видообразования. Важной задачей в области фаунистики является картирование местонахождений отдельных видов по всему ареалу (1).

В настоящей работе даются новые точки находок некоторых видов скальных ящериц в Грузии. Материал был собран во время экспедиций Тбилисского государственного университета в 1971 и 1972 гг. и полевой практики студентов.

*Lacerta rudis obscura* Lantz et Cyren по имеющимся литературным данным (2, 3, 4) распространена по долинам верхнего течения р. Куры и её притоков от Адигени на Западе до Ахалдаба на Востоке и от Месхетского хребта на Севере до северо-западных и северных отрогов Тriaлетского хребта по линии Аспиндза—Бакуриани—северный склон пер. Цхра-Цқаро—верховья р. Тана.

Основные пункты находок: окр. Адигени, Абастумани, южные склоны пер. Зекари, окр. Ацқури, Боржоми, Рвели, Ахалдаба, Цагвери, Бакуриани, Цихисджвари, западные склоны пер. Цхра-Цқаро и верховья р. Тана.

Нами *L. rudis obscura* обнаружена: на левом берегу р. Куры близ Карели, где она совместно с *L. dahli* образует небольшую изолированную, симпатрическую популяцию на северных склонах пер. Зекари, где она обитает совместно с *L. parvula* и *L. mixta*.

*Lacerta mixta* Meheli распространена на Месхетском хребте, в Мингрелии и долинах среднего течения р. Куры и её притоков, не образуя сплошного ареала. Известна из Боржоми, Ахалдаба, южного склона пер. Зекари, Рвели, окр. Бакуриани, Цихисджвари, западных склонов пер. Цхра-Цқаро, Махарадзе, Кутаиси, Твибули, Лебарде и Абастумани. Нами обнаружена на северных склонах пер. Зекари, где ранее не была отме-



მ. ბაქრაძე

## კლდის ხვლიკების ზოგიერთი სახის მოპოვების ახალი პუნქტები საქართველოში

რ ე ზ ი უ მ ე

კავკასიური კლდის ხვლიკები დიდი ხანია იპყრობენ მკვლევართა ყურადღებას პართენოგენური გამრავლების, ბუნებრივი ჰიბრიდებისა და შუალედური პოპულაციების სიმრავლითა და თავისებურებებით, რის გამო მათი არელების დაზუსტებას დიდი მეცნიერული ინტერესი აქვს. დაზუსტდა რიგი კლდის ხვლიკების არელები, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ბიოგეოგრაფიისა და სისტემატიკური ზოოლოგიისათვის.

M. BAKRADZE

### NEW SITES OF OCCURRENCE OF ROCK LIZARDS IN GEORGIA (CAUCASUS)

#### Summary

Lizards were caught in the spring and summer of 1971—1972. For the first time lizards have been found in Kareli (the left bank of the Kura river): *Lacerta rudis obscura*; in the vicinity of Zeda Enteli: *Lacerta parvula*, and in the northern hills of the Zekari pass: *Lacerta mixta* and *Lacerta armeniaca*; in the vicinity of Bevreti and Tabarukhi: *Lacerta portschinskii* and *Lacerta dahli*; the latter was also found in Lelobi.

A list of reference literature on the distribution of the above rock lizards in Georgia is given.



**პლოდობის დადგენისათვის მრავალტაროიან სიმინდში**

**ჰ. გოგინაშვილი**

მტვრის მარცვლის მორფოლოგიური თავისებურების შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს როგორც ბუნებრივი, ისე ექსპერიმენტული გზით მიღებული პლოიდური ფორმების პლოიდობის დიაგნოსტიკისათვის. მცენარეებში პლოიდობის დადგენის სადიაგნოსტიკო საშუალებად გამოიყენება მტვრის მარცვლის ზომა და მტვრის მარცვლის ფორიანობა [1, 2, 3, 4, 5]. დადგენილია, სახელდობრ, რომ მტვრის ზომის ცვალებადობა გენეტიკური ფაქტორებითაა გამოწვეული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრაზე გამოყვანილი სიმინდის ახალი ფორმები ხასიათდება მრავალტაროიანობით, დიდი ვეგეტატიური მასით, მარცვლის სიმსხოთი და სხვა დადებითი ნიშნებით (6), ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა სიმინდის ახალი ფორმების პლოიდობა, რომ დაგვედგინა, თუ რითაა გამოწვეული მრავალტაროიანობა — ქრომოსომული ცვლილებებით თუ გენური ცვლილებებით.

სიმინდის ახალ ფორმებში პლოიდობის შესწავლისათვის აღებული იქნა ყვითელი კაჟა და კბილა ფორმები. თითოეული ფორმიდან შევისწავლეთ 10—10 მცენარე. პლოიდობის სადიაგნოსტიკოდ გამოყენებულ იქნა მარცვლის ფორიანობა.

**მტვრის მარცვლის ფორების რაოდენობა მრავალტაროიანი სიმინდის ყვითელ კაჟა და კბილა ფორმებში**

მრავალტაროიანი სიმინდის ტიპები	მტვრის მარცვლების რაოდენობა (% %)	
	ორფორიანი	სამფორიანი
ყვითელი კაჟა	90,0	9,0
ყვითელი კბილა	88,0	8,5

ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ როგორც კაჟა, ისე კბილა ფორმებში ორფორიანობის პროცენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე სამფორიანი მტვრის მარცვლებისა.

მტვრის მარცვლის ფორიანობა აშკარად გვიჩვენებს, რომ პლოიდობის ამ სადიაგნოსტიკო ნიშნის მიხედვით მრავალტაროიანი სიმინდის ორივე ფორმა დიპლოიდურია.

აქტოკარმინის მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ აგრეთვე მტვრის მარცვლის ცხოველმყოფელობა და აღმოჩნდა, რომ ფერტილური მტვრის მარცვლის რაოდენობა ორივე ფორმაში მეტია და საშუალოდ 372-ს აღწევს, სტერილური მტვრის მარცვლის რაოდენობა ორივე ფორმაში 21-ს არ აღემატება (ითვლებოდა ხუთი მხედველობის არე). ამასთან აღმოჩნდა, რომ ფერტილური იღებებოდა მუქად



და ჰქონდა სფერული ფორმა, სტერილური კი იღებებოდა ბაცად და უსწორო ოვალური ან სფერული ფორმა.

ჩვენ მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალტაროიანობა გამოწვეულია იმ ცვლილებებით, რომლებიც განხორციელდა გენურ დონეზე ქრომოსომების დიპლოიდური რაოდენობისას.

ამრიგად, შესწავლილ ფორმებში ორფორიანი მტვრის მარცვლების რაოდენობა გაცილებით მეტია სამფორიანი მტვრის მარცვლების რაოდენობაზე. ფერტილური მტვრის მარცვლები გამოირჩევა ინტენსიური ლებვადობით. მტვრის მარცვლის ფორმების რაოდენობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალტაროიანი სიმინდის ყვითელი კაჟა და კბილა ფორმები დიპლოიდური ფორმებია და მრავალტაროიანობა გენური ცვლილებებით არის გამოწვეული. მრავალტაროიანი სიმინდის ყვითელი კაჟა და კბილა ფორმები მაღალ ფერტილურ ტიპებს მიეკუთვნებიან.

გენეტიკის კათედრა

#### ლიტერატურა

1. Л. П. Бреславец. Полиплоидия в природе и опыте. М., 1963.
2. И. Н. Абдуллаев, Э. А. Лев. Полиплоидия у шелковицы. М., 1970.
3. А. И. Соколовская. К вопросу о корреляции между числом хромосом и величиной пыльцевого зерна у видов диких растений. 1964.
4. У. Laus. Ecology, 50, 1, 1960.
5. Э. А. Лев. Полиплоидия у шелковицы. М., 1970.
6. გ. შევარდნაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობა. 1972.

К. А. ГОГИНАШВИЛИ

#### УСТАНОВЛЕНИЕ ПЛОИДНОСТИ У МНОГОПОЧАТКОВОЙ КУКУРУЗЫ

##### Резюме

В настоящей работе изучалась пloidность многопочатковой кукурузы. Для установления пloidности как диагностического способа использовалось число пор пыльцы.

